



რუსეთის ეკლესიის იერარქებმა მონაწილეობა მიიღეს ცნობილი სერბი ღვთისმეტყველის ეპისკოპოს ათანასესადმი (ევტიჩი) მიძღვნილი ხსოვნის დღეებში

СТЕЖАЊЕ НА ВЛАДНКУ АТАНАСИЈА 2025

<p>20.фeбpуap, чeтвpтaк 18.00</p> <p>Галeријa КЦ</p> <p>Отвapaњe излoжбe “ПЕТОКЊИЖЕ ЕПИСКОПА АТАНАСИЈА – АРХИВСКИ ИЗВОРИ”</p> <p><small>Аутори: др Рaдoвaн Пилиповић, директoр Архивa СПЦ јeрoмoнaх Тeoфил, нaстoјaтeљ Mнaстирa Дужи</small></p> <p>19:00 Позоришнa сaлa КЦ Пpвa сeсијa: ЛИТУРГИЈА И МИСИЈА</p> <p>Учeсници: Митpoлит Гeopгијe Микaлoвeскo-Кoшички, Слoвaчкa aрхимaндpит Илијa Pагo (Elie Raggot), Фpaнцyскa пpotoјeрeј-стaвpoфop Пeтaр Сoрoкa, Слoвaчкa пpotoјeрeј-стaвpoфop Пeтaр Сaвчaк, Слoвaчкa</p> <p><small>мoдeрaтop: гoспoдин Нoвaк Билић</small></p>	<p>21.фeбpуap, пeтaк 19:00</p> <p>Позоришнa сaлa КЦ</p> <p>Дpyгa сeсијa: ВЛАДИКА АТАНАСИЈЕ И ПОЕТИКА ЖИВОТА</p> <p>Учeсници: мoнaхињa Aнaстaсијa Игyмaнијa ⚔ Дeвицa гoспoдин Бoгoљyб Шијaкoвић пpotoјeрeј Рaдoш Млaдeнoвић</p> <p><small>мoдeрaтop: гoспoдин Aндрeј Јeфтић</small></p>	<p>22.фeбpуap, сyбoтa 19.00</p> <p>Позоришнa сaлa КЦ</p> <p>Тpeћa сeсијa: ХЛЕБ БОГОСЛОВИЈА</p> <p>Учeсници: Митpoлит Aмвpoсијe Твepски и Кaшински, Рyсијa Eпискoп Киpилo Бyенoс-Ајpeски јeрoмoнaх Игњaтијe Шeстaкoв</p> <p><small>мoдeрaтop: пpotoјeрeј Oстoјa Кнeжeвић</small></p>
<p>23.фeбpуap, нeдeљa 9.00</p> <p>ЛИТУРГИЈСКИ ПОМЕН</p>		



სსკვ-ის კომუნიკაციი სამსახური, 24.02.2025. 2025 წლის 20-23 თებერვალს, უნმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით და ზაჰუმისა და ჰერცოგოვინის მიტროპოლიტ დიმიტრის მინვევით, ტვერისა და კაშინის მიტროპოლიტმა ამბროსიმ და სარანსკისა და მორდოვიის მიტროპოლიტმა ზინობიმ სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინმინდებები მოილოცეს და მონაწილეობა მიიღეს ეპისკოპოს ათანასეს (ევტიჩი) გარდაცვალების ოთხი წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, – იუნყება ტვერის ეპარქიის პრეს-სამსახური.

20 თებერვალს მღვდელთმთავრები ენვივნენ ბუდვაში წმინდა სამების უძველეს ტაძარს და ცეცხლში ცეცხლის მონასტერს, სადაც შედგა შეხვედრა და ძმური ურთიერთობა ჩერნოგორისა და პრიმორსკის მიტროპოლიტ იოანიკესთან.

იმავე დღეს მიტროპოლიტებმა ამბროსიმ და ზინობიმ ილოცეს მწუხრის ღვთისმსახურება ჩერნოგორისა და პრიმორსკის სამიტროპოლიტოს მთავარ საკათედრო ტაძარში, რის შემდეგაც მიტროპოლიტმა ამბროსიმ სულის განსასვენებელი ლიტია აღასრულა საძვალეში, სადაც დაკრძალულია მიტროპოლიტი ამფილოქე (რადოვიჩი). დღის ბოლოს ეპისკოპოსებმა დაათვალიერეს წმინდა მღვდელთმთავარ საბას მშენებარე ტაძარი პოდგორიცაში და ჩერნოგორისა და პრიმორსკის სამიტროპოლიტოს მართლმადიდებლური გიმნაზიის კომპლექსი.

21 თებერვალს მიტროპოლიტები ამბროსი და ზინობი ენვივნენ მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარს ტრებინეში, სადაც ისინი თბილად მიიღო ზაჭუმისა და ჰერცოგოვინის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ. შემდეგ ეპისკოპოსებმა მოსალოცად იმოგზაურეს პრებილოვციში და ილოცეს ნაცისტებისა და უსტაშების მიერ რამდენიმე ათასი მართლმადიდებელი სერბის მკვლელობის ადგილზე. ამის შემდეგ ისინი ენვივნენ ჟიტომისლიჩის ხარების მონასტერს, სადაც 1941 წელს უსტაშებმა ყველა მონოზონი დახოცეს. მოინახულეს ასევე მოსტარის სამების საკათედრო ტაძარი, რომლის აღდგენაც ამჟამად მიმდინარეობს.

22 თებერვალს, ხორციელი შვიდეულის მშობელთა შაბათს, მიტროპოლიტებმა ამბროსიმ და ზინობიმ ილოცეს საღმრთო ლიტურგიაზე და პანაშვიდზე და ეზიარნენ ქრისტეს წმინდა საიდუმლოებებს მოსტარის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტაძარში. შემდეგ იერარქებმა მოილოცეს წმინდა ბასილი ოსტროჟელის მშობლიური სახლის ადგილზე აგებული საგანე და ტვრდოშის მონასტერი.

საღამოს ტრებინეს კულტურულ ცენტრში გაიმართა ეპისკოპოს ათანასეს (ევტიჩი) გარდაცვალების მეოთხე წლისთავისადმი მიძღვნილი მოსახსენიებელი საღამო.

საღამოზე, რომელიც გაიხსნა გამოჩენილი სერბი ღვთისმეტყველის შესახებ ფილმის ჩვენებით, მის შესახებ თავიანთი მოგონებებით გამოვიდნენ ტვერისა და კაშინის მიტროპოლიტი ამბროსი, ბუენოს-აირესისა და სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ეპისკოპოსი კირილე (სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია) და მღვდელმონოზონი ეგნატე (შესტაკოვი). მეუფე ათანასეს შრომების ნაკითხვიდან მიღებულ საკუთარ შთაბეჭდილებებზე ისაუბრა სარანსკისა და მორდოვიის მიტროპოლიტმა ზინობიმ. საღამო მადლიერების სიტყვით დაასრულა მმართველმა ეპისკოპოსმა, ზაჭუმო-ჰერცოგოვინისა და პრიმორსკის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ. მოსახსენიებელ საღამოს უძღვებოდა ჩერნოგორისა და პრიმორსკის სამიტროპოლიტოს მდივანი დეკანოზი ოსტოია კნეჟევიჩი. შეხვედრას სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ეპისკოპოსები, მონასტრების ილუმენები, მღვდელმსახურები, მონოზვნები და ერისკაცები ესწრებოდნენ.

23 თებერვალს, ხორციელის კვირიაკეს, საშინელი სამსჯავროს ხსენების დღეს, ტრებინეს ფერისცვალების საკათედრო ტაძარში, სადაც დაახლოებით ათასი ადამიანი იყო შეკრებილი, საღმრთო

ლიტურგიას წარუძღვა ტვერისა და კაშინის მიტროპოლიტი ამბროსი. მას თანამსახურებდნენ ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტი იოანიკე, სარანსკის და მორდოვის მიტროპოლიტი ზინობი, დიუსელდორფისა და გერმანიის მიტროპოლიტი გრიგოლი, ზაჰუმისა და ჰერცოგოვინის მიტროპოლიტი დიმიტრი, დასავლეთ ამერიკის მთავარეპისკოპოსი მაქსიმე, დელჩევი-კამენის ეპისკოპოსი მარკოზი (მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესია – ოხრიდის სამთავარეპისკოპოსო), ბუენოს-აირესის ეპისკოპოსი კირილე, ბუდიმილიანო-ნიკშიჩის ეპისკოპოსი მეთოდე, ასევე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, ჩეხეთის მინებისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი ეკლესიის და მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიის – ოხრიდის სამთავარეპისკოპოსოს სასულიერო პირები. ღვთისმსახურების დროს გუნდთან ერთად მთელი ხალხი გალობდა.

ამბიონიდან ლოცვის შემდეგ ჩატარდა ეპისკოპოს ათანასეს (ევტიჩი) სულის განსასვენებელი ლიტია. ლიტურგიის განტეევების შემდეგ მიტროპოლიტმა ამბროსიმ მლოცველებს სიტყვით მიმართა.

შემდეგ ტერდოშის მონასტერში, ეპისკოპოს ათანასეს დაკრძალვის ადგილზე, ჩატარდა პანაშვიდი; სავანეში გაიმართა მოსახსენიებელი ტრაპეზი.

მიტროპოლიტებმა ამბროსიმ და ზინობიმ გულწრფელი მადლობა გადაუხადეს ზაჰუმისა და ჰერცოგოვინის მიტროპოლიტ დიმიტრის მინვევისა და სტუმართმოყვარეობისთვის.